# დღგ-ის ჩათვლა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთზე 11129

## ფაქტობრივი გარემოებები

პირი, ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს. 2019 წლის 15 სექტემბერს პირს წარმოექმნა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება. ამ თარიღისათვის მასთან ნაშთად არსებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაზე (სმფ) გააჩნია ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (საფ). საფ-ებში ასახული ოპერაციები განხორციელებულია 2016 წელს.

**ვარიანტი I**

პირი დადგენილი წესით, 2019 წლის 15 სექტემბრიდან დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად.

**ვარიანტი II**

პირი ვადის დარღვევით, 2020 წლის იანვრის თვეში დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად.

**ორივე ვარიანტში**

2019 წლის სექტემბრის თვის დღგ-ის დეკლარაციით პირმა სრულად ჩაითვალა ნაშთად არსებულ სმფ-ზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში ასახული დღგ-ის თანხები

## შეფასება

სსკ-ის 173-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილის თანახმად დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

სსკ-ის 174-ე მუხლის 1(ა) ნაწილის მიხედვით, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით, **მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სმფ-ის ნაშთზე;**

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით **დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება იმ ელექტრონული საფ-ებით,** რომლებიც ასახული არ არის დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოდგენილ დღგ-ის დეკლარაციაში ან არაუგვიანეს 3 კალენდარული წლის განმავლობაში, ამავე პერიოდის დაზუსტებულ დეკლარაციაში

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სმფ-ების ნაშთზე ჩათვლის პერიოდი არის რეგისტრაციის ძალაში შესვლის საანგარიშო პერიოდი, ამ სმფ-ების მიხედვით 174(3)-ე მუხლით გათვალისწინებული ჩათვლის უფლების 3 წლიანი ვადა, უნდა განისაზღვროს საფ-ებში ასახული დასაბეგრი ოპერაციის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან ჩათვლის უფლების გამოყენების ვადამდე პერიოდით.

**I ვარიანტში:**

ვინაიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში ასახული ოპერაციის განხორციელებიდან რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტამდე (ჩათვლის უფლების გამოყენებამდე) არ არის გასული 3 კალენდარულ წელზე მეტი, ამ საფ-ებით დღგ-ის ჩათვლა მართლზომიერია.

**II ვარიანტში:**

ვინაიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში ასახული ოპერაციის განხორციელებიდან(2016წ) რეგისტრაციის ძალაში შესვლის საანგარიშო პერიოდზე ჩათვლის უფლების გამოყენებამდე(2020) გასულია 3 კალენდარულ წელზე მეტი, ამ საფ-ებით დღგ-ის ჩათვლა არამართლზომიერია

## ღონისძიებები

**II ვარიანტში :**

პირს გაუუქმდება ელექტრონული საფ-ით ჩათვლილი დღგ-ის თანხა. დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2020 წლის 21 აპრილისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.*